ხონი

2021 წელი
28
დეკემბერი
სამშაბათი
№15 (7536)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

სიმშვიდეს 90!

გილოცავთ 90 წლის იუბილეს!

გაზეთ „ხონის“ ადმინისტრაციას, ჟურნალისტებს, თანამშრომლებს, მკითხველს, გულშემატკივარს ვულოცავ მნიშვნელოვან თარიღს – გაზეთის 90 წლის იუბილეს.

განსაკუთრებულ ხიბლს სწორედ მრავალწლიანი ისტორია გძენთ და მადლობა რედაქციის თითოეულ თანამშრომელს, რომ უფრთხილდებით, უვლით, მზრუნველობთ ყველა ხონელის ძვირფას განძს – გაზეთ „ხონს“.

ბევრ მკითხველს, განეითარებას და წარმატებებს გისურვებთ!

ლადო ჯურხაძე,
ხონის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ!..



პატივისცემით ვულოცავ გაზეთ „ხონის“ შემოქმედთ – საიუბილეო 90 წელს. არც პატარაა და არც იოლი ამდენი წელი ემსახურო შენს ქალაქს და გაზეთს, ობიექტური ინფორმაციით ახარო საზოგადოება, შეინარჩუნო ეთიკის ნორმები, გააშუქო საინტერესო თემები.

ჟურნალისტიკა ეს ხომ უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა...

გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს, თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც წერთ ჩვენი პატარა ხონის ისტორიას. ამიტომაც უწოდებენ გაზეთს მემატიანეს.

ბედნიერი, დღეგრძელი, სიკეთისა და სიხარულის მომტანი შობა–ახალი წელი დაგბედებოდეთ!

მანანა გოფოძე,
ხონის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

გაზეთ „ხონის“ ჟურნალისტებს!

გაზეთ „ხონი“-ს რედაქციას და მთელ მის შემოქმედებით ჯგუფს ვულოცავ 90 წლის იუბილეს, გისურვებთ წინსვლას და წარმატებებს თქვენს მეტად საჭირო, საპასუხისმგებლო და კეთილშობილურ საქმეში, კიდევ დიდხანს გეკეთებინოთ ის ღირსეული და სასარგებლო საქმე, რასაც თქვენ ემსახურებით. გაზეთი „ხონი“ წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს, რომელიც საინტერესო არქივს ინახავს ჩვენი მუნიციპალიტეტის შესახებ და დღემდე ინარჩუნებს მკითხველის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რაც თქვენი ნიჭიერებისა და დიდი შრომის დასტურია.

გისურვებთ წინსვლას და ერთგული მკითხველის სიმრავლეს!

ვალერი ბახტაძე, ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს ჩემო საქართველოვ!

მოდის 2022 წელი – ვეფხვის წელი თავისი სიძლიერით, სიმარდით, დიდებულებით. გვინდა, ახალმა წელმა ყველა ოჯახში ხვავი, ბარაქა, სიკეთე, ბედნიერება,... ჯანმრთელობა შეიტანოს. ეს წელი იყოს წარმატებებისა და გამარჯვებების წელი.

...ქრისტესშობიდან 2021 გასრულდა. ბევრ მნიშვნელოვან, საქვეყნო და საკაცობრიო იდეებს ფრთები შეესხა, ნაწილიც დარჩა ჩანაფიქრის თუ ოცნების სახით. დღეს, პანდემიის პირობებში, გლობალურ პრობლემათა თავსატეხში, უმთავრესია თავი დავაღწიოთ კორონა ვისურსს, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, გვერდით დავუდგეთ, ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს და უფლის შეწევნით სიცოცხლის სიყვარული კვლავ იზეიმებს, ღიმილი დაბრუნდება, სიცილი და ხალისი აახმიანებს დედამიწას...

გვინდა, ბედნიერი სახეები მომრავლდეს ქუჩებში, ხარობდეს და ზეიმობდეს ყველა ბავშვი ნაძვის ხის ირგვლივ, მათმა კისკისმა და სიცელქემ გულები დაგვითბოს, არ შიოდეს, არ ციოდეს არავის...

ძნელია, პანდემიით გულმოკლულ ადამიანებს სანუგეშო სიტყვა უთხრა, მაგრამ მაინც შემოგბედავთ, ძვირფასებო, ჯანის სიმრთელით, სულის მხნეობით სავსე ახალი წელი თქვენს ოჯახებში, ღმერთმა გაკმაროთ და გაგაძლიეროთ სიკეთეში, სიხარულში, სიყვარულში... წუხილი დავტოვოთ უკან და მომავლისათვის ვილვაწოთ. ჩვენ, ქართველებს რომ გვეკადრება, შევხვდეთ მომავალ წელს...

ფეხბედნიერი, ხვავრიელი წელი საქართველოვ.

გამთლიანების, გამარჯვებების ახალი წელი ჩვენო სამშობლოვ.

ეს წელი იყოს ურთიერთსიყვარულისა, ურთიერთთანადგომისა, შენდობისა და პატიებისა, კრძალვისა და პატივისცემისა, ფიზიკური და სულიერი ძლიერებისა....

ჩვენს იუბილარს, გაზეთ „ხონს“ ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. 90 წელი ცოტა დრო არაა იმისათვის, რომ შეაჯამო, შეაჯერო, შეაფასო–თუ გადააფასო განვლილი წლები და მადლობა არ უთხრა წინამორბედთ, რომელთა ტრადიციულ გზას ფრთხილად მივუყვებით და ასევე ვცდილობთ მოკრძალებით, ჩვენი კალმით საკუთარი ხელწერა დარჩეს გაზეთის სახელოვან ისტორიას, რომელმაც დროის ცვალებადობას გაუძლო და დღემდე შემოუნახა თაობებს ნარსულისა და აწმყოს მნიშვნელოვანი მოვლენები, გაზეთი ხონის მემატიანეა და თითოეული ჩვენთაგანისათვის ეს დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომაც ვუფრთხილდებით მას.

ჩემი წერილი „9 აპრილი“ და ოთხი კუპლეტი ლექსი გაზეთში სტუტენტობის წლებში მივიტანე. მახსოვს, ქ-ნმა ბელა ყვინჩიამ მინაწერი გაუკეთა, რამაც ძალიან გამახარა და გამათამამა – მეთანამშრომლა გაზეთთან. ეს ჩემთვის იყო დიდი პატივი... შემდეგ პერიოდულად ვბეჭდავდი. 1995 წელს კი რედაქციის უნიჭიერეს კოლექტივს შევუერთდი და მე გავიარე ადამიანობისა და გონიერების, თავაზიანობისა და თავმდაბლობის უიშვიათესი, გამორჩეული სკოლა. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა მათგანს, თუკი ჩემგან შედგა ჟურნალისტი, ეს თქვენი დამსახურებაა ჩემო უფროსო მეგობრებო: **ბატონო ბადრი, ბატონო გივი, ბატონო ამირან, ქ-ნო ბელა, ჩემო ქეთინო** – სულთათანა თქვენს სულებს. დღევანდელ შემადგენლობას ხანგრძლივ მოღვაწეობას ვუსურვებ ჩვენს ნალოლიავებ გაზეთში და არ დავიღლები გითხრათ მადლობა ქ-ნო ქეთევან, ქ-ნო ნუნუ, ქ-ნო ლია, ქ-ნო ქეთინო, ქ-ნო სალომე. იდღეგრძელეთ, ოჯახმრთელეთ თქვენი ღირსეული ოჯახებით.

ჩვენი გაზეთის არსებობა, პირველ ყოვლისა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს დამსახურებაა, რომ არა მათი ფინანსური დახმარება, ალბათ...არც მინდა იმის გაფიქრება, რომ „ხონიც“ სხვა გაზეთების ბედს გაიზიარებდა... შეიძლება ზოგს არ მოსწონს, შეიძლება ბევრს მოსწონს, ნაწილიც რას ფიქრობს და კიდევ სხვები რას, მაგრამ ერთი ფაქტია, როგორც ახალი წლის შემობრძანებას ყველა ველოდებით, ასეა–გაზეთის ყოველ ახალ ნომერს ელოდებიან ჩვენი ერთგული მკითხველები, ისინი, რომლებმაც გაზეთთან და ჩვენთან ერთად წლები მოიყარეს და თანაზიარნი არიან ჩვენი დალხინებისა თუ გაჭირვებისა. მადლობა თქვენ. მადლობა იმათ, ვინც თუნდაც მიზერულად, მაგრამ გულით გვერდით დაგვიდექით, მადლობა თქვენ, ვინც გვამხნევებთ, ვისაც გეიმედებით და გიყვარვართ... და კიდევ ერთხელ მადლობა ემიგრანტებს, რომლებიც უკომენტაროდ არ ტოვებენ არცერთ ნომერს და, რომელთაც გულის ნადებს, სალექსო სტრიქონებში გამჟღავნებულს დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ პერიოდულად. გამძლეობა გქონოდეთ ქალბატონებო. მალე დაგვიბრუნდით. დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და სიკეთე 2022-ში. თქვენ ჩვენი ყოფის გმირები ხართ. გაიხარეთ.

დიდხანს, დიდხანს, ჩვენო გაზეთო, იყავი კეთილი მაცნე ხონელების ოჯახში.

ფეხბედნიერი 2022 ძვირფასო ხონელებო!

მაია ფეიქრიშვილი

დაბადების დღეს გილოცავთ!

ესეც ახალი, საიუბილეო ნომერი!

90 წლის გახდა. ცხრა ათეული წელია ხონის მაჯისცემას აყურადებს. ასახავს ხონისა და ხონელების ამბებს. **დავით გურამიშვილისეული** პრინციპით მოქმედებს: „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე

რად, ვერას ვუქებ საძაგელთა, უქებართა პირსაქებად“.

სამყაროსთან მიმართებაში ეს მცირე დროა, ერთი გაელვებაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს რთულ დროში, მაშინ როცა ახალი გამოცემები ხშირად ჩნდებიან და ქრებიან, გაზეთმა „ხონმა“ კი ამ ხნის მანძილზე შეძლო თავისი მოკრძალებული ადგილის დამკვიდრება საინფორმაციო სივრცეში და საკუთარი სახის შენარჩუნება, ბევრია, მისასალმებელია და საამაყო.

1932 წლის 5 იანვარს მოელინა ხონს. გაუძლო დროთა ქარტეხილებს და მოაღწია დღემდე.

რამდენჯერმე მონათლეს. პირველად „დამკვრელი“ უწოდეს, შემდეგ „ბოლშევიკური დროშა“, „წინსვლა“, „კომუნიზმის გზით“, ამჟამად კი „ხონი“ პქვია.

დღევანდელივით მახსოვს წუთი, როცა პირველად შევაბიჯე რედაქციაში, რომელიც ამ 35 წლის მანძილზე ჩემს მეორე სახლად იქცა. სწორედ ამ გაზეთში შედგა ჩემი ჟურნალისტური „ნათლობა“ და არასოდეს დამავიწყდება გაზეთ „ხონის“ მრავლისმთქმელი, ჟურნალისტური და ადამიანური სკოლა... გმადლობთ ამისათვის!

გაზეთი „ხონი“ ჩვენთვის მხოლოდ გაზეთი არ არის, ცოცხალი არსებაა... მისი ტკივილი გვტკივა და სიხარული გვიხარია. ალბათ, ამიტომაც შემოვრჩით ამდენ ხანს...

გაზეთში ნამოჭრილი ესა თუ ის საკითხი ფართო მსჯელობის საგანი ხდებოდა. ეს საერთო საქმის ერთად და უკეთესად კეთებაა და არა გაზეთის ზურგის გამაგრება...

ზოგჯერ თქმითაც რომ შავდება... დავიჯერო, ვინმეს კრიტიკა სიამოვნებს? არა, ბატონო, ამიტომაცაა მშვიდობიანი კალმით სიკეთესა და სილამაზეს ვემსახურებით. თუმცა ერთი კია, გაზეთს არასოდეს უთქვამს შავზე თეთრიაო და თეთრზე-შავი. ის ყოველთვის სიმართლისა და პატიოსნების მსახურია.

გაზეთი რაიონის მემატიანეა. თუ გადავხედავთ ისტორიადქცეულ მის გაყვითლებულ ფურცლებს, ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება ხონის წარსულსა და ისტორიაზე.

დიახ, დღემდე ინახება არქივში **გერასიმე ფირცხალავას, ეთერ ჯაფარიძის, გივი ფირცხალავას, კონდრატე ცაცუას, იაშა ბახტაძის, ვიქტორ ღაჭავას, ნოდარ მელქაძის, ტარასი აკობიძის, ვლადიმერ ბულეიშვილის, ამირან ბოკელავაძის, ბადრი ნამიჩეიშვილის** რედაქტორობის დროს გამოცემული გაზეთის ნომრები.

ნიჭიერი ხალხი ქმნიდა ყოველთვის გაზეთს. მოკრძალებასა და პატივისცემას იმსახურებდნენ **ვალოდია ბულეიშვილი, ზაქრო გალუსტოვი, გიგლა მუშკუდიანი, ზინა ბენდელიანი, ჯემალ გორდულაძე, ლიანა ვაშაკიძე, ბელა ყვინჩია, გოგონა ჭელიძე, თამარ ჭელიძე, გივი კაკაბაძე, გივი ჩიხლაძე, ქეთევან კირთაძე, ზურაბ ჩარგეიშვილი, ბადრი ნამიჩეიშვილი, ქეთევან ჯიშკარიანი, რუსუდან ნივწივაძე, ლუიზა ხობუა, მურმან ბახტაძე, ლაზარე მამარდაშვილი, კაკო ფარულავა, ზაზა ჯალაღანია, ირმა სარავა, ხათუნა ბენიძე, მარგო ლაითაძე, მარგო ბართია, მაია ფხაკაძე, მავლინა ჩანქელიანი, ზეინაბ ლიპარტელიანი, მანანა ჭოლოკავა, გუგული უგულავა, ანზორ ნადარეიშვილი, დალი ბენიძე**... დიდია მათი ღვაწლი და დამსახურება.

თავისი არსებობის მანძილზე გაზეთს ბევრი წინააღმდეგობა შეხვედრია, ისიც იბრძოდა, იბრძოდა სიმართლისათვის.

1978 წელს გაზეთისა და რაიკომის მუშაკთა დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. თემიდამ რედაქციის მხარე დაიკავა. ხონელმა ჟურნალისტებმა დიდი მხარდაჭერა იგრძნეს ჯერ საკავშირო ჟურნალ „ჟურნალისტში“, შემდეგ კი ქვეყნის პირველი გაზეთის „პრავდის“ მოწინავეში გაჩნდა სიტყვები: საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომი უხეშად ერევა კაზეთ „კომუნიზმის გზით“ რედაქციის მუშაობაში.

შემდეგ იყო 90-იანი წლების მძიმე პერიოდი. ეკონომიურ საფუძველგამოცლილი დამოუკიდებელი გაზეთი. საოცრად ტირაჟშემცირებული, თვეობით არ იცემოდა ხელფასები. რაიონის მაშინდელმა გამგეობამ დახმარების ნაცვლად 1995 წლის 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღეს გამოგვიგზავნა ბრძანება გაზეთ „ხონის“ ფუნქციონირების შეჩერების შესახებ. კვლავ თავდაუზოგავი ბრძოლა და სამართლიანი გამარჯვება. ბრძანების შემოქმედი სასამართლოს მიერ ჯარიმდება 200 მილიონი კუპონით და საჯაროდ ბოდიშის მოხდით.

ძნელბედობის ჟამს გაზეთს გვერდით ედგნენ და გულშემატკივრობდნენ წლების განმავლობაში სპონსორები **გოდერძი მებუკე, ივანე კაკაბაძე, ნადია ჩხენკელი და მისი ქალიშვილი მაგდა ნასყიდაშვილი, ბელა უგულავა, ოთარ ჩიხლაძე,** რომ არა ისინი, გაზეთს ძალიან გაუჭირდებოდა არსებობა.

დღეს ღირსეულად აგრძელებენ გაზეთ „ხონის“ ტრადიციებს მრავალ განსაცდელგამოვლილი **თაობა-ქეთევან ბახტაძე, მაია ფეიქრიშვილი, ნუნუ ფანცულაია, ლია ჩიხლაძე,** ბოლო წლებში კოლექტივს შემომატებული წევრები: **ქეთევან გელენიძე და სალომე კალატოზი.**

ძალიან დაგვწყვიტა გული კოლექტივს გაზეთზე მოამაგე დიდი გულშემატკივრების **გივი ჩიხლაძის, ქეთევან კირთაძისა და დალი ბენიძის** გარდაცვალებამ.

გაზეთს აღმავლობის წლებიც პქონდა, წარმატებებიც უხვად იყო: მე-20 საუკუნის 70-იან წლებში „კომუნიზმის გზით“ საქართველოს რეგიონალური გაზეთების პირველ სამეულში აღმოჩნდა. 80-იან წლებში კი გაზეთი საუკეთესო გაფორმებისა და შინაარსისათვის მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

გაზეთს დამსახურებულად აქვს მიღებული ყოფილი სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გამსახკომის საპატიო დიპლომები, სიგელები და ჯილდოები, ვართ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრები და მრავალი ჯილდო გვაქვს მიღებული საინტერესო მასალებისთვის.

2015 წელს ა(ა)იპ გავხდით. ცოტათი გაგვეზარდა ხელფასები. მადლობა ბ-ნ **ჯემალი მებუკეს.**

გაზეთი „ხონი“ დღესაც მმართველობის ორგანოა. მადლობა გვინდა ვუთხრათ გვერდით დგომისათვის და ჩვენი პრობლემების გაზიარებისთვის ხონის საკრებულოს თავმჯდომარეს **ვალერი ბახტაძესა** და ხონის მერს **ლადო ჯურხაძეს,** მოადგილეებს **გერასიმე მჟავანაძესა და მანანა გოფოძეს,** საფინანსო სამსახურის უფროსს **ლევან ჩიხლაძეს...**

მადლობა წარმოება-დაწესებულებებს, სოფლის საკრებულოებს, სკოლებს, ყველას, ვინც კითხულობს და იწერს ჩვენს გაზეთს.

მადლობა გვინდა ვუთხრათ ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის თანამშრომლებს, სადაც დღეს იწყობა, კაბადონდება და ოფსეტური წესით იბეჭდება გაზეთი.

2022 წლის 5 იანვარს გაზეთის იუბილეა. ქვეყანას ზარ-ზეიმისთვის არ სცალია, თუმცა მილოცვებს სიამოვნებით მივიღებთ. იმედია, კიდევ უფრო გავძლიერდებით, გავიზრდებით, ჩვენ ჩვენი მუდმივი მკვითხველი გვყავს და დამფასებელ-შემფასებელიც, მათთვის ვარსებობთ და განვაგრძნობთ არსებობას.

დიახ, ამ წლების მანძილზე უამრავი ერთგული მკითხველი შევიძინეთ, რომლებიც დღესაც მოუთმენლად ელიან ახალი ნომრის გამოსვლას.

ესეც ახალი ნომერი! საიუბილეო ნომერი!

დაბადების დღეს გილოცავთ, ძალიან გვიყვარხარ და გვინდა დიდხანს გვიხარებდე გულს. შენზე ბევრი, ძალზე ბევრი დაგვეწეროს.

ეს ერთი და სხვა მრავალი იუბილე. კვლავაც უამრავი წელი გამოსულიყოს რაიონის მემატიანე გაზეთი კარგი ახალი ამბებით, გაზრდილი ტირაჟითა და ბევრი გვყოლოდეს მადლიერი მკითხველი.

ჩვენ ხომ თქვენთვის ვარსებობთ ძვირფასო მკითხველო, გვიყვარხართ და გვეიმედებით.

ქეთევან ბახტაძე

გილოცავთ და გლოცავთ!

1945 წლის მაისში გაზეთმა „დამკვრელმა“ ჩემი, მეორეკლასელი გოგონას ლექსები გააცნო მკითხველებს. მას აქეთ ალალი ურთიერთობა არ შემინყვეტია ამ გაზეთთან. მერე სინორჩეშივე მივულოცე „ბოლშევიკურ დროშას“ დაბადების დღე და ა.შ.

მოკრძალებით ვიღებ ხელში თითქმის ასაკით თანატოლ გაზეთს, ყოველთვის ვენდობი მისი კოლექტივის სიტყვამართლობას. ვღებულობ მის თანადგომას, კრიტიკას, იმედს, ახალგაზრდა „ათინათთან“ ერთად ველოდები ხონის აღდგენილ სტამბაში მის დაბადებას.

მიეესალმები მის ამაგდარ კოლექტივს, გაზეთ „ხონის“ ნიჭიერ გაბედულ კალამს.

ნდობა და სიყვარული შენ, დიდო იუბილარო. სიტყვებად იღვრებოდეს ლამის საუკუნეს მიტანებული გაზეთის მადლი, ენერგია.

მარად თქვენი ერთგული
85 წლის თინა ჟელიძე

გულითადი მილოცვა 90 წლის ჩემს მშობლიურ „ხონს“!

90 წელი, თითქმის საუკუნე, ემსახუროს გაზეთი საზოგადოებას, ხალხს, რომლის მაჯაც ხელში უჭირავს და პულსთან ერთად აყურადებს და აანალიზებს ქვეყანაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროში შექმნილ ყველა საჭირბოროტო საკითხს, უსმენს ხალხს, აკეთებს ანალიზს, გამოარჩევს მართალსა და მტყუანს და ამას იტყვის გაბედულად, რომელსაც დიდი სიფრთხილით და ფაქიზად მიდგომა სჭირდება და, რაც მთავარია, 30 წლიანი სიდუხჭირის დროში ერთგულად ემსახუროს ხალხს, ძნელზე ძნელი საქმეა. ხოლო როცა ამ დიდ, პასუხსაგებ საქმეს აკეთებს ისე, რომ ხალხის მადლობასა და სიყვარულს იმსახურებს - ქმნის ისტორიას, მშობლიური რაიონისა და ხალხის ისტორიას, რომლის ფურცლებს ვერ ნაშლის ვერავითარი დრო, წვიმა და ქარიშხალი.

აფერუმ, „ხონელებო“, ასეთი დამსახურებისთვის!

სულით და გულით გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, საუკუნეს მიტანებულ 90-ე წლისთავს და თქვენთან ერთად მეც ვიზიარებ ამ სიხარულს!

ნინ და ნინ, მხოლოდ ნინ გეველოთ, „ხონელებო“!

მარად თქვენი პატივისმცემელი, თქვენი გაზეთის მობინადრე ავტორი მურად ჟოლოკავა
მწერალთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჟურნალ „ორბეთის“ მთავარი რედაქტორი, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა და ლადო ასათიანის პრემიების ლაურეატი, ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული კულტურის რაინდი, ორგზის ღირსების ორდენოსანი, იაკობ გოგებაშვილის მედლისკავალერი, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ძვირფასო კოლეგებო, გილოცავთ სახელოვან იუბილეს!

ჩვენი რაიონის საამაყო და მრავალჭირნახულ გაზეთს, „ხონს“ 90 წლის სახელოვან იუბილეს ვულოცავ, რა დრო გასულა ჩემო ძვირფასო კოლეგებო, რახანია ძალუმად ჟღერს და ხმიანობს ხონელ ჟურნალისტთა ჩანგი, ჩანგი გულწრფელი, ამაღლებული, მრავალჟანროვანი და მოყვასის სიყვარულით გაჯერებული... დღევანდელ დღესავით მახსოვს „ხონის“ წინამორბედ გაზეთ „კომუნიზმის გზით“ რედაქციაში მუშაობის დაწყება, მაშინ გაზეთის რედაქტორი **ნოდარ მელქაძე** იყო, მოადგილე კი პოეტი და უებრო თამადა **გიგლა მუშკუდიანი.** რედაქცია იყო შეკრული და ერთსულოვანი, თბილი და საამო ვითარება სუფევდა. რედაქციის მუშაკები: **ლიანა ვაშაკიძე, ზინა ბენდელიანი, გოგონა ჭელიძე, ბელა ყვინჩია, აკაკი ქვათელაძე** ჩემს სიხარულსა და ჟურნალისტურ ნარმატებებს მუდამ გულით იზიარებდნენ, მამხნევებდნენ და მანებივრებდნენ...

რედაქტორის ინიციატივით იმ პერიოდში რედაქციასთან დაარსდა ლიტერატურული წრე, რომელსაც ხონელებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები–**დადუ იოსელიანი** და **თინა ჭელიძე** ხელმძღვანელობდნენ, თითქმის ყოველ თვეში იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები თბილისიდან და ქუთაისიდან მოწვეულ გამოჩენილ მწერლებთან და პოეტებთან, ეს იყო ჩემთვის ნამდვილად არაჩვეულებრივი და დაუვიწყარი წლები... მართალია მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ მაშინდელი ხატება, ერთმანეთისადმი სიყვარული და თანადგომა ჩემს მეხსიერებაში დარჩა.

გაზეთი „ხონი“ იმ ლამაზ ტრადიციებს სახელოვნად აგრძელებს, სიამოვნებითა და ინტერესით ვკითხულობ გაზეთ „ხონის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებს, ნარკვევებს, კორესპონდენციებსა და ჩანახატებს, რომელთა შინარსი გამოირჩევა გულშიჩამწვდომობით, ქართული ენის სიწმინდითა და აზრის გამომხატველობით. გაზეთ „ხონთანაა“ დაკავშირებული ჩვენი ძველი ხონის ოთხმოცდაათწლიანი მდიდარი და შთამბეჭდავი ისტორია, მისი წინსვლა და წარმატებები. თქვენ „ხონის“ ჟურნალისტები ბეჯითად იღვწით, რაც შეიძლება სადად და გასაგებად მიიტანოთ ყოველი პუბლიკაციის შინაარსი მკითხველის გულამდე, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სიტყვითა და საქმით ნამდვილად დგახართ ხონისა და ხონელების სამსახურში. რედაქციის თითოეულ მუშაკს გისურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს, იმსახურებთ მეტ ყურადღებას, დაფასებასა და მოფერებასაც, რაც პროფესიონალიზმისა და დაოსტატების გზაზე აუცილებელია....

კიდევ ერთხელ გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ ჩემო ძვირფასო კოლეგებო გაზეთ „ხონის“ 90 წლის იუბილეს, გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას, სიკეთე, ბედნიერება და ულევი სიხარული დაგბედებოდეთ.

ღრმა პატივისცემით
ჯემალ გორდულაძე

ჩემს უნიჭიერეს ქალბატონებს!

გაზეთის 90 წლის იუბილეს გილოცავთ ჩემო უნიჭიერესო ქალბატონებო. თქვენ ჩემი, და არამარტო ჩემი, სულის მალამო ხართ. ყოველთვის ცდილობთ ტკივილი დაგვიამოთ, გაგვამხნეოთ, გვერდით დაგვიდგეთ და სიტყვით გაგვაძლიეროთ. ალბათ, სასიტყვეთში ნაკლებად მოიძებნება თქვენს დასახასიათებლად სიტყვები. ამიტომ მოკლედ გეტყვით-მიყვარხართ, მეამაყებით და მეიმედებით. თქვენს მოკრძალებულ, მოზომილ სიტყვას, თქვენს კდემამოსილებას, სინაზესა და სულიერ-ფიზიკურ სილამაზეს, ქალურ სიდარბაისლესა და სიყვარულით სავსე გულებს,...დაგილოცავთ.

იუბილარ გაზეთთან ერთად, ჩვენს უტყუარ მემატიანე „ხონთან“ ერთად იმზიანეთ, იკაშკაშეთ, იდღეგრძელეთ! გახსოვდეთ, გვჭირდება თქვენი თბილი მოფერება, თქვენი შემოქმედება, თქვენი სიტყვაკაზმულობა, სამართლიანობა და გამხნევება.

იმედს ვიტოვებ, 100 წლის იუბილეს მასშტაბურად, როგორც გვეკადრება ხონელებს და როგორც იმსახურებს გაზეთი თავისი შემოქმედებითი კოლექტივით, აღნიშნავთ.

გილოცავთ და გლოცავთ!

სიყვარულით თქვენი
გულიადა სანოძე

მიიღეთ ჩემი მილოცვა

ხონს დიდი კულტურული წარსული რომ გააჩნია, ეს დღეს ცხადზე უცხადესია.

ამ საქმეში დიდია და განუზომელი ჩვენი მეისტორიე გაზეთის „ხონი“-ს დამსახურება, რომლის გვერდებზედაც შუქდებოდა ჩვენი რაიონის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ვითარება.

გაზეთმა თვალსაჩინო როლი შეასრულა სახალხო განათლების, სპორტის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გააქტიურების საქმეში.

ჩემი პირველი საგაზეთო წერილი 1976 წელს, ნოემბერში გამოვაქვეყნე თქვენს გაზეთში. მისი სათაური იყო „ძვირფასი შენაძენი“. მას შემდეგ ათობით სტატია მივადევნე. ვწერდი მხარის ისტორიულ მემკვიდრეობისა და თავისებურებების შესახებ.

კარგად ვიცი ძველი თანამშრომლების ღვაწლი და მოწიწებით ვიგონებ მათ სახელებს, რომლებიც წერდნენ სოფლის მეურნეობის, ძაფსაღები ფაბრიკის, ქიმიური ქარხნის, ჩაის ფაბრიკების შრომით მიღწევებზე.

ახლანდელ შემოქმედებით კოლექტივს ნინამორბედებისაგან შესანიშნავი ესტაფეტა გადაეცა, რასაც ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი ობიექტურობითა და პრინციპულობით.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ახალ წარმატებებს.

ავთანდილ ფაილოძე, მწერალი,
კულტურის დამსახურებული
მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი

ვულოცავთ გაზეთ „ხონს“!

ვულოცავთ გაზეთ „ხონს“ 90 წლის იუბილეს, მის ყველა თანამშრომელს, ჟურნალისტს ვუსურვებ ობიექტურობას, ბევრ მკითხველს, საინტერესო თემების წამოწევას და, რაც მთავარია, კიდევ უამრავი წელი ეარსებოს გაზეთს, რომელიც ითვლის 9 ათეულ წელს. გისურვებთ კიდევ უფრო აქტიურად ისმოდეს თქვენი ხმა მუნიციპალიტეტში, არ გრჩებოდეთ არანაირი წარმატება გაშუქების გარეშე, საუბრობდეთ გამოწვევებზე.

გილოცავთ კიდევ ერთხელ, მიგულეთ თქვენს გვერდით როგორც გულშემატკივარი, თქვენი ერთი მკითხველი.

ბაჩანა ბასილაია,
ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

გილოცავთ!..

გილოცავთ 90 წლის იუბილეს. გისურვებთ ულევ წარმატებებს თქვენს რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეში. კვლავაც დიდხანს გეშრომოთ, გეღვაწოთ ხონისა და ხონელების სამსახურში, მუდამ გქონოდეთ საზოგადოების ნდობა და სიყვარული, არ მოკლებოდეს თქვენს სიტყვებს სიმართლე და ჯანსაღი აზრის ძალა.

ლია ჩარგეიშვილი,
მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

კვლავაც ჩვეული შემართებით გედვაწოთ!

9 ათეული წელი, არცთუ ცოტაა და არცთუ ისე დიდი... სამართლიანობითა და ობიექტურობით გამორჩეულს, ყოველთვის მკითხველის სიყვარული და პატივისცემა დაგიმსახურებია, ვინ იცის, რამდენის წინსვლისა და წარმატებების შესახებ შენს ფურცლებზე გისაუბრია, რამდენ გზასაცდენილს დახმარებიხარ შენი რჩევითა და მხარში დგომით, რამდენს გამოსარჩლებიხარ, რომ ცხოვრებაში სწორი არჩევანი გაეკეთებინა...ამიტომ, ვინ მოსთვლის, ამ წლების განმავლობაში შენი მკითხველის მადლიერებით სავსე რამდენი სიტყვა თქმულა შენს შესახებ, რამდენი სამადლობელი დაწერილა... დღემდე სიყვარულით შევავლებ ხოლმე ხელს შენს ფურცლებს და ყოველთვის რაღაც ახლის ძიებაში ვარ, დიახ, ახლის, სხვანაირად ხომ ცხოვრებას ფასი არ აქვს, ყველაფერი უფერულია.

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებისა, არაერთი გამოწვევისა, გაზეთი „ხონი“, მისი შემოქმედებითი კოლექტივი კვლავაც ჩვეულ შემართებას ინარჩუნებს, ამისათვის მადლობა თქვენ, მადლობა თქვენ იმ ამაღლებული სულიერებისათვის, რომელიც თითქმის ყოველი ნომრისათვის გაკმარათ საგზლად, იმ სიკეთისათვის, რასაც თესთ.

მინდა კვლავაც სიმართლეს მსახურებდეს თქვენი კალამი, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული ოჯახი მოუთმენლად ელოდეს მის ყოველ ახალ ნომერს დატვირთულს ნათელ მომავალზე ფიქრითა და ზრუნვით..

წარმატებებს, წინსვლას, მკითხველის სიმრავლეს ვუსურვებ გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს.

ნანი ჩიხლაძე

----- ᲝᲚᲒᲚᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲚᲒᲕᲝᲜᲡᲬᲔᲚ! -----

გარდაცვალება ყველა ადამიანის ხვედრია, ადრე თუ გვიან ყველას უწევს, ზოგს – ღრმასიბერეში, ზოგსაც - ახალგაზრდობისას, მოულოდნელად, სიცოცხლის ყვავილობისჟამს, ძალთა ჭარბობისას, იმედებისა თუ ოცნებების დროს. დიახ, ამ ადამიანებსაც, ვინც უკვდავი გაზეთის ფურცლებიდან მოგვითხრობდა ხონისა და ხონელების ყოველდღიურობაზე, აღმშენებლობაზე, გამოსასწორებელ ხარვეზებზე, სიხარულსა თუ გასაჭირზე, ღრმა სიბერეში, სიცოცხლის ყვავილობის ჟამს თუ ძალთა ჭარბობისას მოუწიათ ზეციურ სამეფოში გადასახლება, თუმცა თითქმის საუკუნის ისტორიის მქონე გაზეთ „ხონის" ფურცლებზე საქმის სიყვარულით ანთებული გულებით დაწერილი ისტორია შემოგვინახეს, ისტორია, რომელიც 1932 წლიდან იწყება, იწყება ორგვერდიანი „დამკვრელით", შემდეგ ოთხგვერდიანი „დამკვრელი", „ბოლშევიკური დროშა", „წინსელა", „კომუნიზმის გზა" და 1989 წლის დეკემბრიდან კი გაზეთი „ხონი" ცხოვრების ყველა სფეროსა და ყველა მიმართულებას ობიექტურად, მიუკერძოებლად აშუქებს. გაზეთმა „ხონმა", როგორც ადგილობრივმა მემატიანემ თაობებს შემოუნახა თავიანთი ქალაქის, წინაპრების, წარმატებული,სახელოვანი ხონელების თუ რიგითი ადამიანების საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ისტორიები.

სწორედ მათგან ნასათუთევ გაზეთს გვინდა შემორჩეს ისტორიად მათი სახელები, რათა მომავალმა თაობებმა წაიკითხონ, იცოდნენ, თუ როგორი სიყვარულით, საქმისადმი გამორჩეული პასუხისმგებლობით, ადამიანური, პროფესიული ღირსებებით შემკული მართლაც დიდებული ადამიანები, ყოველდღიურად, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა თუ სიძნელეებისა შრომობდნენ და გვიქმნიდნენ წარმოდგენას ხონში და არა მარტო ხონში მიმდინარე ცხოვრებისეულ მოვლენებზე.

ძნელი ყოფილა წერო ბუმბერაზ ადამიანებზე, მათ მასალებს გულდასმით ვკითხულობ უკვე მერამდენედ, ეშიში, უკიდეგანოა მათი თვალსაწიერი, მათი შემოქმედების სიღრმე, შეფარული, მრავალისმთქმელი, აღმზრდელობითი, დამრიგებლური, საქებარი, მჭერმეტყველი, ყოველ მათგანს თავისებური სტილი, საკუთარი „მე"გამოარჩევს, რომელიც იმდენად ინდივიდუალურია სტატიის კითხვისას ხელმომწერის ნახვამდე ხედები ვინაა ავტორი. დიახ, დიდი ინტერესით,უკვე მერამდენედ ვეცნობი საუკეთესო ხონელების, სტამბა-რედაქციის ერთ მუშტად შეკრულ პროფესიონალთა შემოქმედებას- **გიგლა მუშკუდიანი, ნესტორ უგრეხელიძე, რაჟდენ საღარაძე, მიტკა ციბაძე, ზაირა ჯიქია, ლუბა ბაქრაძე, რუსუდან ბუღაშვილი, ლენა თედორაშვილი, რაფიელ აკობიძე, ზაურ ჟორჟოლიანი, კაკო ფარულავა, დურმიშხან რუხაძე, ინგა ჩარგეიშვილი, შალვა კოტიშაძე, ნოდარ მელქაძე, აკაკი ქვათელაძე, მარგო ლაითაძე, მარგო ბართია, ბელა ყვინჩია, გოგონა ჭელიძე, თამარ ჭელიძე, გივი კაკაბაძე, ამირან ბოკელავაძე, ზაქრო გალუსტოვი, ომარ ნივწივაძე, მიხეილ ჩაგუნავა, გივი კაკაბაძე, ამირან ბოკელავაძე,ვაჟა გელენიძე, დემურ ტორაძე, ვლადიმერ ბულეიშვილი, გივი ჩიხლაძე, ბადრი ნამიჩეიშვილი, ქეთინო კირთაძე, დალი ბენიძე...**

დიახ, ისინი ყოველ დილით, მიუხედავად სირთულეებისა,სიდუხჭირისა, მცირე ანაზღაურებისა, სიხარულით, საყვარელი საქმის სიყვარულით გულანთებულნი მიიჩქაროდნენ სამსახურში, რედაქციაში, სტამბაში, რათა ხონელებისთვის მოეთხროთ წარმატებების, ხარვეზების, მიმდინარე ცვლილებებისა თუ ყოველდღიურობის შესახებ, სხვათა სიხარული თუ წარმატება ყველასათვის ემცნოთ, აქ, მათთან ყოველთვის ნახავდით ინტელექტით გამორჩეულ ადამიანებს – **ამირან ბოკელავაძე, ნოდარ გიორგაძე, ჟორა კვანტალიანი,ვაჟა გელენიძე,კონსტანტინე ჩხენკელი, ჯემურ სულუხია, გივი ჭოლოკავა, ზეიმ ბერაძე, როინ სანოძე, გალაქტიონ სულაბერიძე** – ერთ ცხოვრებად ღირდა მათი მსჯელობების, საუბრის მოსმენა ხელოვნების ყველა დარგზე, აქ მოისმენდით მსჯელობას შესანიშნავ ლექსებზე, მუსიკაზე, სპორტზე, მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე, ხონისა და ხონელების წარმატებებზე, ხონის ყოველდღიურობის პულსზე განუწყვეტლივი ყურადღება შემოინახა კიდეც 90 წლის მქონე გაზეთმა.

დიდი ტკივილია, რომ ცა იმ დიდ ოჯახში-სამსახურში, სადაც ცხოვრების გატარება გიწევს ნელ-ნელა გაკლდებიან მეგობრები,საოცარი სიცივე ისადგურებს, დიდხანს ,დიდხანს, თითქოს დამნაშავე იყო თვალს ვერ უსწორებ მის სამუშაო მაგიდას, მასზე ლამაზად დაწყობილ ყვავილებს და მის სახელზე ანთებული სანთლის ციმციმს, ასეთი ტკივილით აცილებდნენ ერთმანეთს ზეციურ სამეფოში, დროთა განმავლობაში თაობები ცვლიდა თაობებს, მოდიოდა ახალი სისხლი, ახალი იდეებითა და თვალთახედვით, ისევ ისმოდა ოთახებიდან პროფესიული ფუსფუსი, მსჯელობა, კრიტიკული და მეგობრული აზრთა გაცვლა- გამოცვლის ხმები.

ისინი საოცარი ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდნენ, დიახ, აქ, ამ კედლებში, ყველაზე დიდ გამოცდას გადიოდნენ ახალ ფეხშედგმული ჟურნალისტები, გულისფანცქალით წარადგენდნენ თავიანთ პირველ სტატიას და სიტყვის მჭედელთაგან განაჩენივით ელოდნენ პასუხს. მერე ფრთაშესხმულები გამოდიოდნენ, მათგან შექებულნი, თანატოლივით რომ ესაუბრებოდნენ ხარვეზებსა თუ უნებლიეთ დაშვებულ ელემენტარულ, გრამატიკულ თუ სხვა სტილისტურ შეცდომებზე, ახალ-ახალ მასალებს ამზადებდნენ, თავს იწონებდნენ ნიჭიერებით, გონებამახვილობით თითქოს ეპაექრებოდნენ წინა თაობის ბუმბერაზებს-ნახეთ თუ როგორი განათლებული თაობა მოდის, უთუოდ გავამართლებთ თქვენს იმედებსო. ასე იზრდებოდა თაობები, ფუძნდებოდა, ახალ გამოშვებული გაზეთის საუცხოო სურნელით სუნთქავდა და მათთვის მეორეხარისხოვანი ხდებოდა მწირი ანაზღაურება, ცუდი ამინდი, სიძნელეები, დაბრკოლებები, მათთვის მთავარი საყვარელი გაზეთის, ხონის, ხონელების მსახურება გახლდათ.

ნამდვილად ბევრია სასაუბრო ამ დიდებულ ადამიანებზე...მარტო ამ ბოლო წლებში ბევრი ღირსეული ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი ჟურნალისტი, სტამბის მუშაკი თუ შტატგარეშე კორესპონდენტი გარდაიცვალა და ტკივილები გაგვიახლა: **ვლადიმერ ბულეიშვილი, გივი ჩიხლაძე, ბადრი ნამიჩეიშვილი, გივი კაკაბაძე, დალი ბენიძე, მიხეილ ჩაგუნავა, დემურ ტორაძე, ქეთევან კირთაძე...**

თითოეული მათგანის გარდაცვალება — ღრმა სიბერეში, ახალგაზრდობისას, მოულოდნელად, სიცოცხლის ყვავილობის ჟამს, ძალთაჭარბობისას, იმედებისა თუ ოცნებების დროს ერთნაირად მტკივნეულია და გაუსაძლისია ჩვენთვის...

„რა არის სიკვდილი? - ისეთი არაფერი...

თვალებს დახუჭავ და მოვა,

მერე დაიწყება ვისთვის ნაცრისფერი,

ვისთვის ვარდისფერი თოვა...

დარდი დაბერდება, ცრემლი გაბევრდება,

ლოცვად დაილვრება გლოვა..

-რა არის სიკვდილი? - ისეთი არაფერი...

თვალებს დახუჭავ და მოვა".

რა არის სიკვდილი? – სიკვდილი სხვა სამყაროში გადასახლებაა, სადაც მიგყვება ამ ქვეყნად გაკეთებული ყველა სიკეთის, კაცურ-კაცობის მადლი, აქ კი, აქ, ამ დედამიწაზე რჩები მაგალითად, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი, ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება, რჩება სახელი, რომლითაც იამაყებენ შთამომავალნი. თქვენ ამ ყველაფრის საუკეთესო მაგალითნი ხართ, და როგორც თქვენ, თითქმის საუკუნეს შემოუნახეთ ხონის ისტორია, მის ისტორიასთან ერთად ყოველთვის შემოინახეთ თქვენი სახელებიც.

ნათელი თქვენს ხსოვნას, ხონსა და ხონელების სიყვარულში დაღვენთილო წმინდა სანთლებო!!!

ლია ჩიხლაძე

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნონე ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი „ხონი"
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
ს/კ 444957913
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
პოლიკარპე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა.
II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლო 36"-ში
დიზაინერი თეა ჯაჯანიძე
ოპერატორი სალომე ჯალაღონია
ქუთაისი, იოსეფ ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი